

ერთის მხრივ შპს მომავლის სკოლა მისი წარმომადგენლის, სკოლის დირექტორის ცირა ქასრაძის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე ----- (შემდგომში „მასწავლებელი“), ხელმძღვანელობენ რა საქართველოს შრომის კოდექსით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დებენ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მომავლის სკოლა იღებს სამუშაოზე, ხოლო „მასწავლებელი“ თანახმაა განახორციელოს შრომითი საქმიანობა მომავლის სკოლაში -----.

1.2. მხარეებს შორის ურთიერთობა ემყარება პატივისცემასა და კოლეგიალობას, მხარეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, შპს მომავლის სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, ასევე დამსაქმებელის შესაბამისი დებულებებით, ინსტრუქციებითა და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

## 2. მხარეთა უფლება/მოვალეობანი:

### 2.1. „მასწავლებელი“ უფლებამოსილია

2.1.1. შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ ყოველთვიურად მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური;

2.1.2. ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით;

2.1.3. ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ;

2.1.4. პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში;

2.1.5. თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლის ან/და სკოლის მიერ გატარებული არამართლობიერი ქმედებები;

2.1.6. უფლება აქვს სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლებისა იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას;

2.1.7. აიმაღლოს კვალიფიკაცია;

2.1.8. გაასაჩივროს დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა , გადაწყვეტილების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში;

### 2.2. „მასწავლებელი“ ვალდებულია:

2.2.1. „მასწავლებელი“ ვალდებულია დაემორჩილოს სკოლის შინაგანაწესს;

2.2.2. „მასწავლებელი“ ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო;

2.2.3. ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს შინაგანაწესით, სკოლის წესდებით, დირექტორის ბრძანება და სხვა შიდა სამსახურებრივი აქტებით განსაზღვრული მოვალეობანი;

2.2.4. სასწავლო წლის ბოლოს მუშაობის ანგარიში წარუდგინოს სკოლის დირექტორს;

2.2.5. თავისი ქმედებით ხელი არ შეუშალოს სასწავლო პროცესის ფუნქციონირებას;

2.2.6. შინაგანაწესით დადგენილ საათებში იმყოფებოდეს სამსახურში, სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალში თავის ხელმოწერით დაადასტუროს სამსახურში გამოცხადების.

2.2.7. შრომისუუნარობისა და ავადმყოფობის შემთხვევაში წინასწარ, ან იმავე დღეს შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას სამუშაოზე გამოუცხადებლობის შესახებ, ამ მოთხოვნის უგულვებელყოფის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია დაქირავებულს შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება;

2.2.8. გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას, აღჭურვილობას, ინვენტარს, ხოლო მისი მიზეზით ქონების დაზიანების, დანაკლისის ან დაკარგვის შემთხვევაში იკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.2.9. „მასწავლებელი“ ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები, გაუფრთხილდეს საკუთარსა და კოლეგის ღირსებას. დაუშვებელია კოლეგის მიერ კოლეგის ღირსების შელახვა. აღნიშნული ქმედების დადასტურების შემთხვევაში „მასწავლებელი“ შეუჩერდება შრომითი ხელშეკრულება.

2.2.10. შრომითი ურთიერთობის ვადამდე ან ვადის გასვლის შემთხვევაში, „მასწავლებელი“ ავსებს შემოვლის ფურცელს, რომლის საფუძველზეც ხდება მასთან საბოლოო ანგარიშსწორება.

2.2.11 გამოცხადდეს სკოლაში გაკვეთილების დაწყებამდე 15 წუთით ადრე.

2.2. სკოლა ვალდებულია:

2.2.1. შეუქმნას თანამშრომელს ადეკვატური სამუშაო პირობები; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს თანამშრომლის საქმიანობის მხარდაჭერა დამატებითი ადმინისტრაციული და პროფესიული კონსულტაციებით;

2.2.2 გასცეს ხელფასი ხელშეკრულებით დადგენილ დღეს;

2.2.3 უზრუნველყოს თანამშრომელი მისთვის საჭირო ინვენტარით, დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილად შესრულების მიზნით;

**2.3. სკოლა უფლებამოსილია:**

2.3.1. სკოლას უფლება აქვს დაქირავებულს მოსთხოვოს გაიარონ სამედიცინო შემოწმება შესაბამის დაავადებებზე, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარებაზე. საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო შემოწმების გავლის ხელმისაწვდომობას;

**3. ანაზღაურება**

3.1. სკოლის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და ფორმა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით, სახელფასო სარგო კი რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საშუალებით, სკოლაში დადგენილი თითოეული ჩატარებული გაკვეთილის ღირებულებიდან გამომდინარე, სკოლის თანამშრომელთა ხელფასის რაოდენობის საკითხს წყვეტს სკოლის დამფუძნებელი და აისახება შრომით ხელშეკრულებაში;

3.2. სკოლაში შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, ყოველი თვის, 1 რიცხვიდან 10 რიცხვის ჩათვლით. თანამშრომლის პირად ანგარიშზე, სახელფასო თანხის ჩარიცხვის გზით;

3.3. სკოლის დირექტორს შეუძლია დაადგინოს წახალისებების ფორმები დასაქმებულის დაჯილდოვება ხდება გარკვეული პერიოდის მუშაობის მონაცემების მიხედვით.

3.4. სკოლის ადმინისტრაციის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას, თანამშრომელს, მიეცემა ანაზღაურება, სრული ოდენობით;

3.5. თანამშრომლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება;

3.6. დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან

ა) სკოლის დირექტორს უფლება აქვს დაქვითოს შრომითი ანაზღაურებისთვის ზედმეტად გაცემული თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე თანამშრომელს სკოლისთვის აქვს გადასახდელი;

ბ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას სკოლის დირექტორი ვალდებულია გათავისუფლებული თანამშრომლის შესახებ შემოვლის ფურცლის ბუღალტერთან წარდგენის დღიდან, მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღისა.

3.7. არდადეგების, დასვენებისა და სხვა არასამუშაო დღეების ხელფასი არ გაიცემა. ასევე არ ხდება თანამშრომლებზე ფასიანი შვებულების მიცემა.

3.8. „მომავლის სკოლის“ მიერ „მასწავლებლის“ გადასახდელი ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება ჩატარებული საათების რაოდენობის მიხედვით. ერთი საათის ღირებულება ----- ლარი.

3.9. „მასწავლებლის“ კვირეული სამუშაო დრო განისაზღვრება ფორმულით: ფაქტიურად ჩატარებული საათების რაოდენობით; უქმე დღეები და არდადეგები არ ანაზღაურდება. თანამშრომელი სამუშაოზე მიღების დღიდან, სამსახურიდან გათავისუფლებამდე, იღებს შრომით გასამრჯელოს (ხელფასს), რომელიც შედგება თანამდებობრივი სარგოსაგან, ჩატარებული საათობრივი ანაზღაურებისაგან, თანხის არსებობის შემთხვევაში პრემიისა და კანონით გათვალისწინებული სხვა დანამატებისაგან. ხელფასის გაცემა წარმოებს თვეში ერთხელ, საბარათო სისტემით. გაცდენილი საათები არ ანაზღაურდება, არდადეგები ითვლება

უფასო შვებულებად. ყოველგვარი თანხის გაცემა წარმოებს საბანკო ანგარიშსწორებით, საბარათო სისტემით.

#### 4. სამუშაო დრო და შვებულება

4.1. სამუშაო დრო, იწყება 9 საათსა და მთავრდება 16 სთ-ზე.

4.2. მასწავლებლის სავალდებულო სამუშაო დრო იწყება:

ა) სკოლაში პირველი გაკვეთილის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და მთავრდება მისთვის ბოლო გაკვეთილის დამთავრებიდან 15 წუთის შემდეგ;

ბ) არდადეგების დღეებში მასწავლებლის სამუშაო დროს განსაზღვრავს სკოლის დირექცია;

გ) სკოლას შესაძლოა დასაბუთებულად დასჭირდეს მასწავლებლის (თანამშრომლის) სამსახური (შაბათი და კვირის ჩათვლით) გარდა შრომის უუნარობისა, ავადმყოფობისა და რომელიმე უბედური შემთხვევის დროს. ასეთ შემთხვევებში მასწავლებელმა (თანამშრომელმა) წინასწარ ან/და იმავე დღეს უნდა შეატყობინოს სკოლას შრომისუუნარობის შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს ამის დამამტკიცებელი საბუთი, თუ არა და სკოლა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს დასაქმებულთან ხელშეკრულება;

4.3. დასაქმებულისათვის კვირეული სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს 41 საათს, სამუშაო დროში არ ითვლება შესვენებისა და დასვენების დრო;

4.4. შესვენების დრო განსაზღვრულია დამტკიცებული სკოლის გაკვეთილების ცხრილის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს.

4.5. უქმე და სადღესასწაულო დღეებად ითვლება საქართველოს კონსტიტუციითა და “შრომის კოდექსით“ დადგენილი დღეები; სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით დატკიცებული შესაბამისი წლის კალენდრით.

#### 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება                      და უქმდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

5.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ასევე კანონმდებლობით, დამსაქმებლის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამსაქმებლის ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

5.3. თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი „მასწავლებელია“, იგი ვალდებულია გააფრთხილოს მომავლის სკოლა არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5.4. მომავლის სკოლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში „მასწავლებელს“ მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

5.5. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

5.5.1. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

5.5.2. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

5.5.3. ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

5.5.4. შრომითი ხელშეკრულების მოშლა;

5.5.5. მხარეთა შეთანხმება;

5.5.6. სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

5.5.7. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 30 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს;

5.5.8 დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალების პირობებში.

## 6. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

6.1. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებლისათვის ქონებრივი ზიანი მიყენების შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების სახით.

6.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

7. მხარეთა რეკვიზიტები და მისამართები:

დასაქმებული: -----

დამსაქმებელი: შპს მომავლის სკოლა

მისამართი: -----

მისამართი: ქ. ბათუმი, ლორიას ქ.№8

ტელეფონი: -----

ტელეფონი: 27-09-85.

ელ-ფოსტა: -----

ელ-ფოსტა momavali12@gmail.com

საბანკო ანგარიში: **GE41BG000000321247000**

მხარეები ვალდებული არიან, დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს, რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე.

დასაქმებული:

დირექტორი:

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

/ხელმოწერა/

/ხელმოწერა/ბეჭედი/